პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი,
16 ოქტომბერი,
1958 წელი
№ 124 (1294)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-15 წელი.

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო





ჰოლანდიაში მიმდინარეობს მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელზე 100-უჯრიან შაშში მსოფლიო ჩემპიონ მ. დელორესა და საბჭოთა გროსმაისტერ ი. კუპერმანს შორის. სურათზე აღბეჭდილი არიან მეტოქეები თამაშის დროს.

XIII საჰადრაკო ოლიმპიადა. **სურათზე:** მსოფლიო ჩემპიონი ბოტვინიკი (მარცხნივ) და ჰოლანდიელი ოსტატი დონერი თამაშის დაწყების წინ.

## მიუნჰენის ოლიმპიადა

დიდი ინტერესი გამოიწვია მეორე ტურმა, რომელშიც საბჭოთა მოჰადრაკეები შეხვდნენ მასპინძლებს — გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მოჰადრაკეებს. მსოფლიო ჩემპიონმა ბოტვინიკმა გროსმაისტერ უნციკერთან პარტიაში თავიდანვე შეძლო უპირატესობის მოპოვება, მაგრამ უნციკერმა საზრიანი მანევრებით გაათანაბრა თამაში და ლაზიერების გაცვლის შემდეგ პარტია ყაიმით დამთავრდა. ასევე დამთავრდა კერესისა და საერთაშორისო ოსტატ შმიდტის შეხვედრაც.

როგორც ყოველთვის, ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა ჩემპიონ ტალის შეხვედრა ახალგაზრდა ოსტატ დარგასთან. ესპანურ პარტიაში ტალმა გარკვეული პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. გონებამახვილური მანევრებით ცენტრსა და მეფის ფრთაზე იგი მტკიცედ დაეუფლა ინიციატივას, შემდეგ ბრძოლა გადაიყვანა ხელსაყრელ დაბოლოებაში და მოიგო პაიკი. მძიმე პოზიციაში დარგა დანებდა. პეტროსიან-ლემანის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, საბჭოთა კავშირსა და გფრ-ს გუნდების შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2,5:1,5 საბჭოთა მოჰადრაკეთა სასარგებლოდ.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და არგენტინის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ყაიმით — 2:2. ესპანელებმა დაამარცხეს ინგლისელები (2,5:1,5), ხოლო ჩეხებმა ასეთივე ანგარიშით მოუგეს გდრ-ს მოჰადრაკეებს.

მესამე ტურში საბჭოთა მოჰადრაკეებმა კვლავ წარმატებას მიაღწიეს. სმისლოვმა ორდღიანი ბრძოლის შემდეგ დაამარცხა ბულგარეთის ჩემპიონი ნეიკირხი, კერესმა — მინევი, ხოლო ტალმა — ტრინგოვი. მხოლოდ ბრონშტეინმა ვერ შეძლო მილევის წინააღმდეგობის დაძლევა და პარტია ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 3,5:0,5 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

სამი ტურის შემდეგ ჩემპიონატს ლიდერობენ იუგოსლავიისა (9 ქულა) და საბჭოთა კავშირის მოჰადრაკეები (8 ქულა).

# დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში

მერი კვირის შემდეგ, 1958 წლის 29 ოქტომბერს 40 წელი უსრულდება ჩვენი დიდი კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწეს — ლენინურ კომკავშირს. მშობლიური პარტიის ყოველდღიური დახმარებითა და მამობრივი მზრუნველობით კომკავშირი გადაიქცა საბჭოთა საზოგადოების აქტიურად მებრძოლ შემოქმედებით ძალად, იგი ფოლადივით იწრთობოდა და ვაჟკაცდებოდა რევოლუციურ ბრძოლებში, სოციალიზმის მშენებლობის წლებში. ამჟამად ჩვენი სახელოვანი კომკავშირელი გოგონები და ჭაბუკები არნახული გმირული შრომის მაგალითებს ავლენენ კომუნიზმისათვის ბრძოლის საქმეში. ლენინური კომკავშირი აღფრთოვანებული კომუნისტური პარტიის მამობრივი ზრუნვით, ყოველთვის მზადაა შეასრულოს პარტიის მიერ დასახული ყოველი ამოცანა. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ქვეყნის მილიონამდე ახალგაზრდა სიამოვნებით წავიდა ინდუსტრიის ახალი გიგანტების ასაგებად. კომკავშირის ისტორიაში ოქროს ფურცლად ჩაიწერა ყამირი მიწების ათვისება, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში აღებულ იქნა მარცვლეული კულტურის დიდი მოსავალი.

განსაკუთრებით დიდი გამოცოცხლება სუფევს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობაში ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავის დღესასწაულის მოახლოვებასთან დაკავშირებით. გოგონები და ჭაბუკები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა კიდევ უფრო მძლავრი გახდეს ჩვენი სოციალისტური სამშობლო, კიდევ უფრო ბედნიერად იცხოვროს საბჭოთა ხალხმა, რომელიც იყო, არის და იქნება მთელს მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

დიდია ლენინური კომუნისტური კავშირის როლი ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის მძლავრად განვითარების საქმეში. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ კომკავშირის ინიციატივით შემოღებულ იქნა მშო კომპლექსი, რომლის ახალი, გაუმჯობესებული პროექტის განხილვა ამუამად წარმატებით მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში. კომკავშირი მუდამ იყო ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში, წარმატებით რაზმავდა ახალგაზრდობის ფართო ფენებს. ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ახალგაზრდობა ყოველმხრივ ცდილობს მეტი გააკეთოს ფიზკულტურისა და სპორტის ახალი აღმავლობისათვის, რათა საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ ღირსეული ადგილი დაიკავოს ხალხთა II სპარტაკიადაში.

ახლახან ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის თეზისები ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავისათვის, რომლებიც მოგვითხრობენ სახელოვანი კომკავშირის მიერ განვლილ საბრძოლო გზაზე, მის ერთგულებაზე კომუნისტური პარტიის მიმართ, მზადყოფნის შესახებ კომუნისტური პარტიის მოწოდებისთანავე ჩაებან ახალ, სერიოზულ ამოცანათა განუხრელად შესრულებისათვის, რომელთა მიზანია ჩვენი დიდი საბჭოთა სახელმწიფოს კიდევ უფრო გაძლიერება, საბჭოთა ხალხის მატერიალური ცხოვრების დონის მკვეთრად გაუმჯობესება.

„კომკავშირული ორგანიზაციები, — ნათქვამია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, — მოწოდებული არიან უფრო სრულად დაეკმაყოფილონ ახალგაზრდობის გაზრდილი სულიერი და კულტურული მოთხოვნები, კიდევ უფრო აქტიურად გაშალონ კომკავშირის ლაშქრობა ახალგაზრდობის კულტურის შემდგომი გაზრდისათვის, ყველა ჭაბუკისა და ქალიშვილის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის. კომკავშირული ორგანიზაციების ღირსების საქმეა — მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ ახალგაზრდებისა და ბავშვების ესთეტიკური აღზრდა, შთაუნერგონ მათ კარგი გემოვნება, ასწავლონ ახალგაზრდობას სწორად შეაფასოს რაც ლამაზი და მხატვრულია. ახალგაზრდობაში ყველა ღონისძიებით აღზარდონ და განავითარონ კეთილშობილური ჩვევები და ჩვეულებები, გახურებული შანთით ამოწვან ხულიგნობა, ლოთობა, ავყიალობა. კომკავშირული ახალგაზრდობის მოვალეობაა, აამაღლონ თავიანთი პასუხისმგებლობა თავიანთი ამხანაგების ქცევისადმი, ახალგაზრდობაში ყველა ღონისძიებით აღზარდონ საზოგადოებრივ ადგილებში, წარმოებაში, ოჯახში ქცევის მაღალი კულტურა, შთაუნერგონ ქალებისადმი, უფროსი თაობის ადამიანებისადმი პატივისცემა, გრძნობა შვილური მოვალეობისა“.

სახელოვანი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თეზისებმა ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდებში. ისინი გაზრდილ ვალდებულებას კისრულობენ, მზად არიან ახალი საწარმოო საჩუქრები მიუძღვნან კომკავშირის მე-40 წლისთავის დღესასწაულს, თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების საქმეში.

## ფიზკულტურის კომიტეტში

საკავშირო მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა 25 წლის მანძილზე უმწიკვლო და აქტიური მუშაობისათვის საპატიო სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა საკავშირო კატეგორიის მსაჯი ცურვაში საქ. სახ. ფიზკულტურის ინსტიტუტის ცურვის კათედრის გამგე ამხ. შ. მუსასტიკოვი.

## გამარჯვებულთა დაჯილდოება

13 ოქტომბერს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყეს თბილისის საზოგადოებრიობის შეხვედრა მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეებთან.

სპარტაკიადის შედეგების შესახებ ილაპარაკა განათლების სამინისტროს მეთოდ-კაბინეტის გამგემ გ. მერკვილაძემ.

გამარჯვებულებისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ა. ბეგაშვილმა. დამსწრენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის გულწრფელ მილოცვას ახალგაზრდა მოასპარეზეებისადმი.

სპარტაკიადის მონაწილე სპორტსმენთა სახელით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი გოგონათა შორის ტანვარჯიშში თბილისელი მზია ნინოშვილი. გამოქვეყნდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივი დადგენილება სპარტაკიადის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

## მსოფლიო პირველობაზე

ინგლისის ქალაქ ოლდერშოტში 13 ოქტომბერს დაიწყო მსოფლიო პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში.

პროგრამის პირველ სახეობაში, საცხენოსნო კროსში საბჭოთა კავშირის გუნდმა მოაგროვა 2810 ქულა, მოიპოვა პირველი ადგილი და სათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას. უნგრეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კოლექტივები გამარჯვებულს ჩამორჩნენ 95 ქულით და მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ.

# გავიხილოთ, შევიჯანოთ შესწორებები, სრულვყოთ მშთ ახალი კომპლექსის პროექტი!

## რა საჭიროა ზედმეტი ნიშნები

მშთ კომპლექსის ახალ პროექტზე მსურს ჩემი აზრიც გამოვთქვა. პირველ რიგში მინდა შევეხო სამკერდე ნიშნების რაოდენობას. იმშთ კომპლექსში არის მოთხოვნები, რომლებიც ამ ნორმატივების ჩამბარებელს საშუალებას აძლევს ივარჯიშოს მშთ I საფეხურის ნორმატივების ჩასაბარებლად. საფუძველს უყრის მშთ II საფეხურის ნორმატივების ჩაბარების გარკვეულ დროში, ეს უკანასკნელი კი მორიგი საფეხურია სპორტის რომელიმე სახეობაში განსაკუთრებული ვარჯიშით მოკლე დროში მიაღწიოს მესამე თანრიგს. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია დარჩეს სამკერდე ნიშნების ძველი რაოდენობა.

აუცილებელია უთოვლო რაიონებისათვის განისაზღვროს ტურისტული გადასვლის მაქსიმალური მანძილი შესვენებებით. მეშვიდე პუნქტში პიონერებისათვის დამხმარე ჩვევების ნაცვლად შეტანილი იქნას რომელიმე მოძრავი თამაში, რაც ამ ასაკისათვის ნამდვილად სავალდებულოა.

მშთ კომპლექსში 16-18 წლის ასაკის ქალიშვილთათვის შეტანილია მოღუნვა და გაშლა საყრდენზე (ტანვარჯიშულ სკამზე). ჩემის აზრით, აქ უმჯობესია ტანვარჯიშულ სკამზე ზურგით წოლით და ხელების ჩაშდობით სკამის გვერდის ნაპირზე, ფეხის წვერების შეხება სკამზე თავს უკან (რაც დადებითად იმოქმედებს მუცლის კუნთებზე).

მშთ კომპლექსში 18 წლისა და უფროსი ასაკისათვის პირველ მოთხოვნად აღნიშნულია კიდიდან ბჯენში გადასვლა ნებისმიერი ხერხით ღერძზე. ჩემის აზრით, უმჯობესია გაკეთდეს აძლა რგოლებზე ნებისმიერი ხერხით. ამავე კომპლექსში მოცემულია კროსის ორი მანძილი 1.500 მ და 3.000 მ ვაჟებისათვის, ხოლო ქალთათვის 500 მ. უკეთესია ვაჟთა ყველა ასაკისათვის დარჩეს 1.500 მ და ქალთათვის გაიზარდოს მანძილი 300 მეტრით, ამავე კომპლექსში დაემატოს ქალთათვის ტკვიით სროლა 25 მეტრზე (5 გასროლა). მოტორის მართვის შესახებ. უმრავლეს რაიონებში და სოფლებში არ მოხერხდება ამ ნორმატივის ჩაბარება, რამდენადაც ბევრგან არ არსებობს ავტო-მოტო კლუბები ან სკოლები, ბევრ რაიონში არ ხერხდება აგრეთვე ნორმატივების ჩაბარება ცურვაში. მაშასადამე, საჭირო იქნება დადგინდეს ერთ-ერთი სახეობა, რომელიც შეცვლის ამ სახეობებს და საყოველთაო იქნება ყველასათვის, სადაც ცურვის ჩაბარება არ ხერხდება.

ჯ. ვაშაკიძე

## ნუ გავართულებთ, ყველასათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ

მშთ ახალი კომპლექსი საგრძნობლად შეუწყობს ხელს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაძლიერებას ჩვენს ქვეყანაში. წამოყენებული მთელი რიგი საკითხები მისაღებია, მაგრამ მათი ნაწილი, ჩემის აზრით, მაინც საჭიროებს გულდასმითს შესწავლასა და გაუმჯობესებას, ვინაიდან მათი განხორციელება განსაკუთრებით გაუძნელდებათ ძირეულ კოლექტივებს.

ახალი კომპლექსის შესწავლისას ბევრი რამ ჩემთვის გაურკვეველია და მინდა ამ საკითხზე გამოვთქვა ჩემი შენიშვნები.

13-16 წლის ასაკის ბავშვთათვის იმშთ კომპლექსში შეტანილია ხტომა მხოლოდ სიგრძეზე (გამორბენით), მაშინ, როცა საჭირო იყო დამატება „ან ხტომა სიმაღლეზე", რაც ბავშვებს საშუალებას მისცემდა ამოერჩიათ ერთ-ერთი მათგანი. ამავე ასაკისათვის ბურთის მიზანში სროლის ნაცვლად მიზანშეწონილი იყო კომპლექსში შეეტანათ უუმბარის ტყორცნა, რადგან იგი სკოლების ფიზმომზადების პროგრამითაა გათვალისწინებული და ბავშვებიც ასე თუ ისე ეუფლებიან მას.

ბევრ სპორტსმენს გაუჭირდება ნორმატივების ჩაბარება ცურვაში რადგან, მაგალითად, ბორჯომში არსადაა საამისო ბაზა (ასეა ალბათ სხვა ბევრ რაიონშიც) და ცხადია ჩამბარებლებს საშუალება არა აქვთ შეისწავლონ ცურვა. ასეთი რაიონებისათვის საჭირო იყო ამ სახეობის რომელიმე სხვა სახეობით შეცვლა. სამაგიეროდ, იმ რაიონებისათვის, სადაც არის აუზები, სპორტული ცურვის განვითარებისათვის მიზანშეწონილი იყო ცურვის სხვადასხვა სტილით — დელფინით, ბატერფლაით და სხვ. ნორმატივების ჩაბარებისას ჩამბარებელს დამატებით მისცემოდა ქულათა 25 პროცენტი.

სადავოა აგრეთვე მშთ II საფეხურის ნიშნის მისაღებად მოტორის მართვის ცოდნის ნორმატივი, რადგან ამისათვის ბევრგან არ არის საამისო ბაზა და ინსტრუქტორები, დოსაფის ორგანიზაციები კი ვერ შეძლებენ ასობით ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამდენად, ეს ნორმატივი საკმაო წინააღმდეგობას წარმოადგენს კომპლექსში.

ზედმეტია ჩემის აზრით, აგრეთვე მოთხოვნილება მესამე სპორტული თანრიგის შესახებ. ახალი კომპლექსით მშთ ნიშნის მისაღებად ჩამბარებელს უნდა ჰქონდეს III სპორტული თანრიგი სპორტის რომელიმე სახეობაში, ძველი კომპლექსით კი პირიქით იყო — სპორტული თანრიგის მისაღებად საჭირო იყო მშთ ნორმატივების ჩაბარება, რაც უთუოდ სწორია.

სპორტსმენი, რომელმაც მოიპოვა თანრიგი, იზრუნებს იმისათვის, რათა სრულჰყოს თავისი ოსტატობა მის მიერ არჩეულ სპორტის სახეობაში და არა მშთ ნორმატივების ჩაბარებაზე.

ა. გელაშვილი,

ბორჯომის შუშის ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

## ეს ხელს შეუწყობს კომპლექსის პროპაგანდას

გავეცანი რა მშთ ახალი კომპლექსის პროექტს, მსურს ერთი ჩემის აზრით, პრინციპული შენიშვნა შევიტანო მასში. საჭიროდ მიმაჩნია, კომპლექსის ყველა საფეხური შეტანილ იქნას ფიზიკური აღზრდის პროგრამებში, როგორც სანორმატივო მოთხოვნა და თვითეულ სახეობაში მოხდეს შეფასება როგორც ქულიანი ცხრილით, ისე ნიშნით, რაც უნდა გატარდეს II-III-IV კურსების მოსწავლეთათვის. ამის მეოხებით მოსწავლეები კიდევ უფრო მასობრივად ჩაებმებიან მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისათვის ბრძოლაში.

კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება როგორც წესი, უნდა წარმოებდეს შეჯიბრებათა დროს, აღნიშნული მეთოდით მუშაობას ჩვენს ტექნიკუმში გაზარდა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებში მონაწილეთა, აგრეთვე თანრიგოსანთა რიცხვი. მაგალითად, თუ 1955 წლისათვის II საფეხურზე ტექნიკუმში მოვამზადეთ 20 მოსწავლე, ხოლო I საფეხურზე 40, 1956 წლისათვის შესაბამისად მომზადდა II საფეხურზე — 25 და I საფეხურზე 45 მოსწავლე. 1957 წლისათვის I საფეხურზე ნორმატივი ჩაბარა 87 და II საფეხურზე — 70 მოსწავლემ. ვფიქრობ, ეს მეთოდი პრაქტიკამ გაამართლა და ფიზკულტურული კოლექტივები ბევრს მოიგებენ (განსაკუთრებით სასწავლებლებში) თუ ახალი კომპლექსი შეტანილი იქნება სასწავლო პროგრამაში.

ი. ლეკვეიშვილი,

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

## მოტორის მართვის ნორმატივი სერიოზული დაბრკოლებაა

მშთ ახალი კომპლექსის პროექტი წინანდელთან შედარებით უკეთესად პასუხობს ახალგაზრდობის ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების გაზრდილ მოთხოვნებს, ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეს მოსახლეობის ფართო მასებში.

მშთ ახალი კომპლექსის პროექტით გათვალისწინებული ჩასათვლელი ბარათები, ქულობრივი ჩათვლის სისტემა, ნორმატივების ჩაბარების შეჯიბრებითი ხასიათი საგრძნობლად მაღლა აყენებს მას ამჟამად მოქმედ კომპლექსთან შედარებით. ახალ კომპლექსში საყურადღებოა ისიც, რომ მშთ II საფეხურის ნიშნოსანი უნდა ფლობდეს მოტორის მართვის ტექნიკას, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ნორმატივი საგრძნობლად ამცირებს მშთ II საფეხურზე ნორმატივების ჩამბარებელთა რაოდენობას, რადგან მოტორისტთა მოსამზადებელი წრეების ქსელი ვერ დააკმაყოფილებს მსურველთა მოთხოვნებს, ამდენად ეს ნორმატივი საკმაო დაბრკოლებას წარმოადგენს ნიშნის მიღებისა და გეგმების შესრულების საქმეში. მოტორის მართვის ნორმატივი ქალთათვის სავალდებულო არ არის, ამიტომ თუ ახალი კომპლექსის დამტკიცების შემდეგ გეგმები ძალაში დარჩება, ძირეული კოლექტივები იძულებული შეიქმნებიან მშთ II საფეხურზე გეგმები შეასრულონ ქალების ხარჯზე. მიზანშეწონილია ყველა ძირეულ კოლექტივს მშთ II საფეხურზე გეგმა მიეცეს ცალკე ვაჟებისა და ცალკე ქალებისათვის კოლექტივის კონტიგენტის გათვალისწინებით.

ნიშნის მიღების საქმეში მნიშვნელოვან მუხრუჭს წარმოადგენს სროლის ნორმატივიც, რადგან სასროლო სპორტს ძირითადად დოსაფი ხელმძღვანელობს, მის განკარგულებაშია შაშხანები, ვაზნები, ტირები. ამ ნორმატივის ჩაბარება განსაკუთრებით გაუჭირდებათ საკოლო ფიზკულტურულ კოლექტივებს.

მეორე საკითხი. მოქმედი კომპლექსის მიხედვით სპორტსმენებს, რომლებმაც შეასრულეს მესამე თანრიგი, ნიშნის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ჩაბარებული აქვთ მშთ I საფეხურის ნორმატივები, ხოლო მეორე და უფრო მაღალი თანრიგისა — თუ ჩაბარებული აქვთ მშთ II საფეხურის ნორმატივები. კომპლექსის ახალი პროექტით კი ხდება პირიქით: მშთ II საფეხურის მიღება შეუძლიათ, მხოლოდ მათ, ვისაც აქვს მესამე სპორტული თანრიგი სპორტის რომელიმე სახეობაში. მე მგონია, ეს მოთხოვნა უნდა შეიცვალოს და დარჩეს ისე, როგორც ეს ამჟამად მოქმედ კომპლექსშია.

სწორად მიმაჩნია ასაკობრივი დაყოფა 18 წლამდე, რამდენადაც ეს დაყოფა ემთხვევა სკოლაში სწავლების პერიოდს. უფრო დეტალურადაა დაზუსტებული, თუ რომელ კლასში რა საფეხურზე უნდა ჩაბარონ ნორმატივები. ვფიქრობ, მშთ ახლ კომპლექსთან დაკავშირებით გადასინჯვას საჭიროებენ სასკოლო პროგრამებიც. დაზუსტებას მოითხოვენ კომპლექსის ზოგიერთი სხვა ნორმატივებიც. მაგალითად, ბურთის ტყორცნა მიზანში 13-16 წლის ასაკისათვის, მარშლაშქრობა, რომელიც უნდა შეიცვალოს ერთდღიანი ტურისტული ლაშქრობით 16-18 წლიანთათვის და სხვ.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ კომპლექსის პროპაგანდისა და ავტორიტეტისათვის აუცილებელია ნორმატივების ჩამბარებელს, სადაც არ უნდა იყოს იგი, დროულად, საზეიმოდ მიეცეს ლამაზად გაკეთებული ახალი სამკერდე ნიშანი.

მ. ბერიეშვი,

ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.



თბილისელმა ვ. ლავრინენკომ ამას წინათ სოხუმში დამთავრებულ საქართველოს პირველობაზე სასტენდო სროლაში შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

ხურათზე: ვ. ლავრინენკო ცეცხლის ხაზზე.

ფოტო ვ. სემიონოვისა

# დინამოელთა უკანასკნელი მატჩი

★

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 15 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი)-„მოლდოვა“ (კიშინიოვი) — 1:1 (1:0).

„მოლდოვა“: ვოსტროილოვი; მირგოროდსკი, ლარინი, შაფრანსკი; ბუტილკინი, ეხინი; ჩერგენეცი, ცინკლერი, კოროტკოვი, მუხორტოვი, ფალამეევი (სპეხინი).

„დინამო“: კვაჭაძე; ჩოხელი, სიჭინავა, უსტაბაშიდი; კოტრიკაძე, ღოღობერიძე; გაგნიძე, ბარქაია (დალაქიანი), მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი კ. დემჩენკო (მოსკოვი).

★

ჩემპიონატის ბოლო მატჩმა, რომელიც გუშინ ჩაატარეს თბილისის დინამოელებმა საკუთარ მინდორზე, ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ის ადგილი, რომელიც მათ უკავიათ მიმდინარე გათამაშებაში (მე-9), სავსებით შეეფერება მათი თამაშის კლასს.

კიშინიოველებმა აჩვენეს მხოლოდ ის, რომ მათ შეუძლიათ მონდომებული, აქტიური ბრძოლა ბურთისათვის. მოთამაშეთა ტექნიკა საშუალოს არ აღემატება, ხოლო მთელი მათი ტაქტიკა ამოიწურება იმით, რომ ნახევარმცველები და მცველები მინდვრის სიღრმიდან ცდილობენ გრძელი გადაცემით მიაწვდინონ ბურთი მოძრაობაში მყოფ თავდამსხმელებს და თუ რომელიმე მათგანი თავისუფალი აღმოჩნდა საჯარიმო მოედანზე, შეიძლება მიღწეულ იქნას შედეგი, იშვიათად, რომ „მოლდოვამ“ გაითამაშოს კომბინაცია ფლანგზე ან თავდასხმის სამეულში.

თბილისელთა თამაშში არ იგრძნობოდა გარკვეული გეგმა, არ ჩანდა ნახაზი. დაცვაში უხეშ შეცდომებს უშვებდა სიჭინავა, რომელიც ხშირად უსაფუძვლოდ ტოვებდა ცენტრალურ ზონას კარის წინ და აზარტში შესული მიჰყვებოდა არა მარტო თავის „ქვეშეფს“ კოროტკოვს, არამედ სხვებსაც. გარდა ამისა, იგი მეტისმეტი გულმოდგინებით „ცელავდა“ მოწინააღმდეგეებს, რის გამოც მასპინძელთა კარში ზედიზედ ინიშნებოდა საჯარიმო დარტყმები. ამაში მას ბევრად არც ჩოხელი ჩამორჩებოდა. ზედმეტი დატვირთვა აიღო თავის თავზე ღოღობერიძემ, რომელიც ბურთის უბრალო და სასარგებლო გათამაშებას რატომღაც არჩევდა მის ხანგრძლივ ტარებას მეტად რთულ და კრიტიკულ სიტუაციაში.

„დინამოს“ თავდასხმაში ერთადერთ სახიფათო ძალას წარმოადგენდა მესხი. დანარჩენნი არა თუ არ უწყობდნენ მას ხელს,სტუმართა კარის იერიშში, ხშირად აბრკოლებდნენ კიდეც მის მიერ დაწყებულ კომბინაციებს. მისი უახლოესი პარტნიორი იამანიძე განუწყვეტლივ აჩერებდა და კარგავდა ბურთს, რის შედეგადაც „მოლდოვას“ მარჯვენა ნახევარმცველი ბუტილკინი თავისუფლად და დიდი სარგებლით მუშაობდა თავისი გუნდისათვის.

ერთადერთი ბურთი, რომელიც „მოლდოვას“ კარში გაიტანა გაგნიძემ პირველი ტაიმის მე-11 წუთზე, მთლიანად ვოსტროილოვის შეცდომას შეიძლება მიეწეროს.

კიშინიოველები თავგამოდებით იბრძოდნენ საპასუხო ბურთის გატანისათვის და შეძლეს კიდეც მიზნის მიღწევა. მეორე ტაიმის 29-ე წუთზე მუხორტოვმა გადაინაცვლა მარჯვნივ, მიიღო გადაცემა და მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა გოლი.

1:1 — ასე დამთავრდა ეს მატჩი.

რ. ქორიძე

★

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 22 | 14 | 3 | 5 | 44:25 | 31 |
| „სპარტაკი“ | 21 | 12 | 6 | 3 | 52:26 | 30 |
| ცსკ მო | 22 | 9 | 9 | 4 | 40:25 | 27 |
| „ზენიტი“ | 21 | 8 | 8 | 5 | 39:32 | 24 |
| „ლოკომოტივი“ | 20 | 8 | 6 | 6 | 38:29 | 22 |
| „ტორპედო“ | 22 | 7 | 8 | 7 | 51:42 | 22 |
| „დინამო“ კ. | 20 | 6 | 9 | 5 | 34:28 | 21 |
| „შახტიორი“ | 20 | 9 | 3 | 8 | 22:28 | 21 |
| „დინამო“ თბ. | 22 | 8 | 3 | 11 | 34:55 | 19 |
| „ჟრ. სოვეტ.“ | 21 | 5 | 6 | 10 | 21:29 | 16 |
| „მოლდოვა“ | 21 | 3 | 9 | 9 | 24:39 | 15 |
| „ადმირალტ.“ | 22 | 3 | 0 | 19 | 22:63 | 6 |

## გათამაშების ცხრილი

IV ზონა

მდგომარეობა 16 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „უუბანი“ (კრასნოდარი) | 28 | 18 | 5 | 5 | 59:28 | 41 |
| სკვო (როსტოვი) | 28 | 17 | 6 | 5 | 67:22 | 40 |
| „სპარტაკი“ (ერევანი) | 28 | 16 | 8 | 4 | 44:13 | 39 |
| „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) | 29 | 16 | 6 | 7 | 63:37 | 38 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 29 | 14 | 9 | 6 | 55:34 | 37 |
| სკვო (თბილისი) | 27 | 14 | 5 | 8 | 47:34 | 33 |
| „თერგი“ (გროზნო) | 29 | 13 | 5 | 11 | 42:47 | 31 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 27 | 11 | 9 | 7 | 42:35 | 31 |
| „ლოკომოტივი“ (სტალინო) | 29 | 12 | 5 | 12 | 52:53 | 29 |
| „შახტიორი“ (კადიევკა) | 29 | 9 | 9 | 11 | 38:38 | 27 |
| „მეტალურგი“ (სტალინგრ.) | 29 | 9 | 5 | 15 | 26:48 | 23 |
| „სპარტაკი“ (სტავროპ.) | 29 | 6 | 11 | 12 | 32:55 | 23 |
| „შახტიორი“ (შახტი) | 29 | 7 | 7 | 15 | 27:44 | 21 |
| „შირაქი“ (ლენინაკანი) | 29 | 8 | 3 | 18 | 22:42 | 19 |
| „ტემპი“ (მახაჩ-ყალა) | 29 | 5 | 5 | 19 | 24:55 | 15 |
| „ტრუდი“ (ასტრახანი) | 28 | 3 | 2 | 23 | 22:76 | 8 |



ქუთაისში ჩატარდა კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი საქალაქო პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

თავიანთ წონით კატეგორიებში გამარჯვებულები გამოვიდნენ: ა. შეყრილაძე, გ. ესებუა, ა. ჩიხლაძე, რ. ლეკვეიშვილი, მ. ასათიანი, გ. თარონიშვილი მ. კუპრაშვილი და შ. შაშუაშვილი.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი წილად ხვდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს.

ს უ რ ა თ ებ ზ ე: ზემოთ — ლეკვეიშვილისა და რიჟინაშვილის შეხვედრის მომენტი. ქვემოთ — ამ შეჯიბრებას ესწრებოდა საბჭოთა კავშირის 1958 წლის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში გ. გობეჯიშვილი. მას სასახელო გამარჯვებას ულოცავს მისი მწვრთნელი ი. ბობოხიძე.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

# გამოვლინდნენ თანრიგოსნები

დამთავრდა „გენთიადის“ საქალაქო პირად-გუნდური პირველობის მეორე ტურ[illegible] რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 ფიზკულტურულმა კოლექტივმა. გამარჯვება მოიპოვეს 26 კომისრის სახელობის რაიონის წარმომადგენლებმა, მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ცხინკომბინატისა და ფეხსაცმელების № 1 ფაბრიკის გუნდები.

ორი ტურის შედეგების მიხედვით წინ არიან 26 კომისრის სახელობის რაიონის მძლეოსნები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ მეორე ადგილი წილად ხვდა ცხინკომბინატის, ხოლო მესამე — ტრამვაიტროლეიბუსის სამმართველოს გუნდებს.

მეორე ტურის პირად პირველობაში გაიმარჯვეს ლ. ბელიაევამ, ს. სიდკოვამ, ლ. კუჩერენკოშ, ლ. დივანინამ, ს. მერაბოვმა, ლ. არუთინოვმა, შ. ელოევმა, ლ. ლორიანმა. სულ თანრიგი შეასრულა 40-მა მძლეოსანმა, მათ შორის პირველი თანრიგი — ერთმა, მეორე თანრიგი ოთხმა და მესამე თანრიგი — 35-მა.

ი. რუხაძე

**შეჯიბრების პროგრამის უკანასკნელ სახეობებს წარმოადგენდა დოღი თარჯებით 2.000 და 3.000 მეტრებზე.**

**3.000 მეტრზე დოღში საქართველოს გუნდიდან გამოდიოდნენ ვ. დარასელია (ცხენი „არარატი“) და ო. ხაინდრავა (ცხენი „პატეფონი“). დარასელია მონაწილეობდა პირველ გარბენში, სადაც გაიმარჯვა ლ. კოვაჩმა („ურუოეაი“) — 8 წუთი, 40 წამი. დარასელია გამარჯვებულს ჩამორჩა 18 წამით და მეხუთე ადგილზე გამოვიდა. მეორე გარბენში ხაინდრავამ 8 წამით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე დარასელიამ და მესამე ადგილზე გამოვიდა.**

**დარასელიამ საპრიზო ადგილი მოიპოვა 2.000 მეტრზე დოღში. იგი მესამე ადგილზეა ა.ბორისოვისა („ურუოეაი“) და ვ. კოვალენკოს („კოლგოსპნიკი“, უკრაინა) შემდეგ. ო. ხაინდრავა მეორე გარბენში ძლიერ კონკურენტებთან მოხვდა და მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა.**

**სოფლის ცხენოსანთა პირველობაში საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: I რსფსრ („ურუოეაი“), II უკრაინა („კოლგოსპნიკი“), III საქართველო („კოლმეურნე“).**

**შეჯიბრების პროგრამის გარეშე ნაჩვენები იქნა ცხენოსნობის ეროვნული სახეობები—რუსული „ლიოსიჩკა“, შუა აზიის რესპუბლიკებში გავრცელებული „კოპ-კარი“, რომელიც ჩვენს ლელოს ჰგავს, ქართული ცხენოსნობის მსგავსი „პუშბოლი“ და სხვები.**

# სოფლის ცხენოსანთა ზეიმზე

როსტოვში დამთავრდა სოფლის ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრება, სადაც გამარჯვებისათვის იბრძოდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, ლატვიის, საქართველოს, უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და სხვა რესპუბლიკების 9 გუნდი.

შეჯიბრების ოფიციალურ გახსნას წინ უძღოდა საცხენოსნო ესტაფეტა 3×1000 მეტრზე, რომლის სტარტზე გამოვიდნენ კიროვის, ფრუნზეს, ბუდიონისა და სხვა ქალაქის 6 ცხენოსანშენის საუკეთესო ჯიშის ცხენები. „გახსნის პრიზზე“ ყველა მონაწილეს მოედანზე თორმეტჯერ უნდა გადაელახა 100-დან 110 სანტიმეტრამდე სიმაღლის 10 წინაღობა.

პირად ჩათვლაში მაღალი კლასი აჩვენა 12-მა სპორტსმენმა, რომელთაგან არც ერთს არ მიუღია საჯარიმო ქულა, პირველობა მიეკუთვნა უკრაინელ ნ. გუსალნიკოვს. საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება „სოფლის ცხენოსანთა თასზე“. წინაღობათა რაოდენობა 13-მდე გაიზარდა, რომელთა სიმაღლე 120 სმ-მდე აწიეს. ყველა სპორტსმენს ორჯერ უნდა გაევლო ტრასა. პირველი გიტი შესანიშნავად განვლო საქართველოს „კოლმეურნის“ წევრმა ა. მაისაიამ, რომელმაც ცხენ „ნახოდკათი“ საჯარიმო ქულის გარეშე დაამთავრა ტრასა, მაგრამ მეორე გიტში ცხენი გაჭირვეულდა და მხედარს 19,5 საჯარიმო ქულა მიაღებინა. ამ სახეობაში გამარჯვებული გამოვიდა ი. სემიონოვი (რსფსრ, „ურუოეაი“), რომელმაც ცხენ „კროსიით“ ორივე გიტი შეუცდომლად განვლო.

# მონაწილეობდა მხოლოდ ორი უმაღლესი სასწავლებელი

დამთავრდა თბილისის პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში უმაღლეს სასწავლებლებს შორის. გამარჯვებული გუნდისათვის დაწესებული იყო გარდამავალი ჯილდო, რომელიც ისევე, როგორც გასულ წელს, მოიპოვეს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სპორტსმენებმა. პირად პირველობაზე გაიმარჯვა ამავე ინსტიტუტის სტუდენტმა სპორტის ოსტატმა ე. ადაშკოვამ.

აღსანიშნავია, რომ დედაქალაქში არსებული ყველა უმაღლესი სასწავლებლიდან გათამაშებაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ფიზკულტურისა და პუშკინის სახელობის ინსტიტუტის წარმომადგენლები, რაც იმას მოწმობს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტები სპორტის ამ სახეობის სტუდენტ ახალგაზრდობას შორის დანერგვისათვის ან არაფერს აკეთებენ, ან თუ აკეთებენ, ძალზე ცოტას. მათ ალბათ „მხედველობიდან გამორჩათ“ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის 1958 წლის 10 აპრილის დადგენილება, სადაც კომიტეტი ყურადღებას ამახვილებდა მხატვრულ ტანვარჯიშში არსებული მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესების შესახებ. განვლილმა შეჯიბრებამ ნათელი გახადა, რომ უმაღლესი სასწავლებლები სუსტად ასრულებენ რესპუბლიკური კომიტეტის ზემოაღნიშნულ დადგენილებას.

მიმდინარე წელს სპორტის ამ სახეობაში განზრახულია მოეწყოს ბევრი საინტერესო ღონისძიება — რესპუბლიკური პირველობა, ქალაქების მატჩი და სსრ კავშირის პირველობა. თუ დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლები, სადაც თავმოყრილი არიან რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები, კვლავ განაგრძობენ ძველი მეთოდით „მუშაობას“, ჩვენ დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში სამარცხვინო ჩავარდნა მოგველის.

ნ. სალუქვაძე,
მხატვრული ტანვარჯიშის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე.

# შეჯიბრება საჰაშველო მრავალჭიდში

სოხუმში მოეწყო პირველი რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება სამაშველო მრავალჭიდში. ამ ღონისძიების ინიციატორი იყო საქართველოს დოსააფი. მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ფოთის, აფხაზეთისა და აჭარის გუნდებმა. შეჯიბრების პროგრამაში იყო 400 მეტრზე ცურვა, 100 მეტრზე კომპლექსური ცურვა, ნიჩბოსნობა, მაშველი წრის მიწოდება. „ალექსანდროვის წვერის“ ტყორცნა, ყვინთვა.

400 მეტრზე ცურვაში საუკეთესო შედეგი აჩვენა ფოთელმა გ. კირცხალიამ. მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს ვ. კრიკლენკომ და ი. რემეზოვმა (ორივე აფხაზეთი). გ. კირცხალიას უპირატესობით აღინიშნა ასევე კომპლექსური ცურვა 100 მეტრზე. 1-კილომეტრიან დისტანციაზე ნიჩბოსნობაში უძლიერესი გუნდი ჰყავდა აფხაზეთს.

მაშველი წრის მიწოდებაში პირველი ადგილი დაიკავა ხ. მამედოვმა (თბილისი), ხოლო „ალექსანდროვის წვერის“ ტყორცნაში— გ. დანილოვმა (აჭარა), ყვინთვის დიდი ოსტატობა გამოამჟღავნა ი. რემეზოვმა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიპყრო აფხაზეთის გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ფოთის, მესამეზე — აჭარის სპორტსმენები.

ვ. სემიონოვი

★

შეჯიბრების ერთ-ერთი საინტერესო ნაწილი იყო წყალში ყვინთვა. ამ სურათზე თქვენ ხედავთ სპორტსმენს, რომელიც ემზადება წყლის ქვეშ „სამოგზაუროდ“.

★



სურათზე: ზევით — თბილისელი მაკაროვი ყვინთვის შემდეგ. ქვევით — 400 მეტრზე ცურვაში გამარჯვებული ფოთელი გ. კირცხალია დისტანციაზე.

## გორი-კიროვობადი-გორი

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის კიროვობადის ახალგაზრდობას მეგობრული ურთიერთობა აქვთ გორის ახალგაზრდობასთან.

ამას წინათ კიროვობადის ახალგაზრდობის წარმომადგენლები სტუმრად იმყოფებოდნენ გორში. მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, ინახულეს ბამბეულის ქსოვილების კომბინატი, იყვნენ პედინსტიტუტის სტუდენტებთან და მოაწყეს სპორტული შეხვედრები.

4-5 ოქტომბერს გორის კომკავშირის და ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტების ინიციატივით მოეწყო ავტო-მოტო გადარბენა: გორი-კიროვობადი-გორი.

ლამაზად გაფორმებული ავტომანა თბილისის გავლით იმავე დღეს ჩავიდა კიროვობადში, სადაც მას შეხვდა ადგილობრივი ახალგაზრდობა. მეორე დღეს გორის ფიზკულტურელებმა ინტერესით დაათვალიერეს კიროვობადის ღირსშესანიშნავი ადგილები, მოაწყვეს შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, გადასცეს საჩუქრები და სხვ.

გორის ფიზკულტურელების ავტო-მოტო გადარბენა მიეძღვნა კომკავშირის მე-40 წლისთავს.

ბ. რობინიშვილი

## ჩვენ გვწერენ

### სამართლიანი მოთხოვნა

არავისათვის საიდუმლო არაა, რომ მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო ინვენტარი მარტივი და ადვილად საშოვნია. მისი დადგმა შეიძლება ყველგან — სკოლებში, დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, კლუბებში, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც კი გამოინახება ამისათვის საჭირო ოთახი. მაგიდის ჩოგბურთის თამაში შეიძლება გარეთაც, ეზოში. სწორედ ამიტომაა, რომ ამ სახეობამ მოიპოვა პოპულარობა რესპუბლიკის რაიონებში.

მაგიდის ჩოგბურთს გატაცებით თამაშობენ თელავში, ლაგოდეხში, გურჯაანში, სიღნაღში და სხვაგან, მაგრამ ყველაფერი ეს სტიქიურ ხასიათს ატარებს და ორგანიზებული არ არის. რესპუბლიკურმა სექციამ მეტი დაინტერესება უნდა გამოიჩინოს მათი მუშაობით, მოავლინოს დროებით გამოცდილი სპეციალისტები და ინიციატივის გრძნობა გაუღვიძოს ფიზკულტურის ადგილობრივ კომიტეტებს. მაშინ მაგიდის ჩოგბურთი რაიონებშიც სპორტის მასობრივ სახეობად გადაიქცევა.

ბ. ჩიკვაიძე

## ბაჭიანურებული მშენებლობა

ათ წელზე მეტია ზესტაფონში არსებობს ბავშვთა სპორტული სკოლა, რომელიც 300-მდე აღსაზრდელს აერთიანებს, მაგრამ იმის გამო, რომ სკოლას არ გააჩნია საკუთარი სასწავლო-საწვრთნელი ბაზა, მეცადინეობა ტარდება სხვადასხვა კოლექტივების ბაზებზე.

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით ოთხი წლის წინათ სპორტსკოლისათვის დაიწყო დარბაზის მშენებლობა, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემა გადაწყვეტილი იყო 1957 წლისათვის, მაგრამ ამჟამად დარბაზის კედლების ამოყვანაც კი არ დამთავრებულა, რაც განსაკუთრებით საშენი მასალის უქონლობითა და მშენებელთა დაუდევრობითაა გამოწვეული.

საინტერესოა როდის მოეღება ბოლო ამ გაჭიანურებულ მშენებლობას?

ს. ტალახაძე

## ბრაზილიელები ევროპაში

ევროპაში მოგზაურობს ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი „ბელა ვისტა“, რომელსაც მეორე ადგილი უკავია თავისი შტატის ჩემპიონატში. „ბელა ვისტამ“ წარმატებით ჩაატარა თამაშები ესპანეთში, იტალიაში, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ბრაზილიელებმა დაამარცხეს ცნობილი იტალიური კლუბი „ინტერნაციონალე“ (მილანი) ანგარიშით 3:2, ხოლო ევროპის ჩემპიონების თასის გათამაშებაში სამგზის გამარჯვებულ „რეალთან“ (მადრიდი) წააგეს მინიმალური ანგარიშით 0:1 (ერთადერთი ბურთი ბრაზილიელთა კარში გატანილ იქნა 11-მეტრიანი . საჯარიმო დარტყმიდან). „ბელა ვისტამ“ ევროპაში აჩვენა ნამდვილი ბრაზილიური ფეხბურთი, აგრესიული სტილის, სრულყოფილი ტექნიკა, მაგრამ ევროპიელ სპეციალისტთა ყურადღება, გარდა ამისა, მიიქცია იმანაც, რომ ბრაზილიელთა გუნდი მეტისმეტად ახალგაზრდაა. მისი წევრები 18-დან 20 წლისანი არიან. ამასთან „ბელა ვისტას“ ახლავს რიო-დე-ჟანეიროს შტატის წამყვანი გუნდის „ვასკო და გამას“ 4 წამყვანი ახალგაზრდა ფეხბურთელი და „ათლეტიკის“ (რიო-დე-ჟანეირო) შესანიშნავი მარჯვენა გარემარბი მურილიო. ბრაზილიელთა მწვრთნელმა ა. ლუნდმა განაცხადა: „ჟაბუკი მოთამაშეები, რომლებიც ამჟამად ტურნეს ატარებენ ევროპაში, გაეცნობიან თამაშის აქაურ სტილს, რაც მათ გაუადვილებს 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში თავიანთი საპატიო წოდების დაცვას“. ე. ი. ამ შემთხვევაში საქმე უმთავრესად გვაქვს ე. წ. „დაზვერვით მოგზაურობასთან“.

„ბელა ვისტას“ ახალგაზრდა მოთამაშეებს შესანიშნავი ტექნიკა აქვთ. ა. ლუნდმა გერმანული ჟურნალის „ფუსბალ-ვოხეს“ კორესპონდენტს ჰ. ფრიდემანს გააცნო ასეთი ტექნიკის ათვისების „საიდუმლოება“. იგი ეძებს 14 წლის ბავშვებს და 6 წლის განმავლობაში ყოველდღე ავარჯიშებს მათ, ასწავლის ტექნიკურ ილეთებს.

ა. ლუნდმა გულახდილად განაცხადა, რომ კარგად მომზადებული ფეხბურთელი შეიძლება დიდ ფასად გაიყიდოს, ეს კი სტიმულს უქმნის მწვრთნელს. მისი აზრით, ურთულეს ტექნიკურ ილეთად ითვლება ის, რომელსაც სრულყოფილად ფლობს განთქმული ფეხბურთელი დიდი. მოთამაშეს რბენის დროს ბურთი მარჯვენა ფეხით გადააქვს მარცხენა ფეხის ქუსლზე, ხოლო აქედან აგდებულ ბურთს იღებს თავით. ასეთ ილეთს რომ დაეუფლო, — დასძინა მწვრთნელმა, — წლების განმავლობაში უნდა ივარჯიშო.

## საინტერესო ციფრები

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „ექსპრესენმა“ გამოაქვეყნა რამდენიმე საინტერესო ციფრი და ცნობა.

თურმე ფეხბურთელთა VI მსოფლიო ჩემპიონატი გრძელდებოდა დაახლოებით 2 წელიწადს, პირველი შერჩევითი მატჩიდან (ავსტრია-ლიუქსემბურგი, 30 სექტემბერი 1956 წელი) — ფინალურ შეხვედრამდე სტოკჰოლმში (29 ივნისი, 1958 წელი). ამ ხნის განმავლობაში მოეწყო 124 შეხვედრა და გატანილი იქნა 467 გოლი. თამაშებს დაესწრო 5 ნახევარი მილიონი მაყურებელი. სტოკჰოლმის ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი ამავე დროს იყო 1962 წლის პირველობის შერჩევითი შეხვედრა. გამარჯვებულმა გუნდმა — ბრაზილიამ მოიპოვა ფინალურ ჯგუფში მონაწილეობის უფლება.

შვეიცის გუნდი მსოფლიოს პირველობაზე იყო ყველაზე ხანდაზმული კოლექტივი. მოთამაშეთა საშუალო ასაკი 30 წელს აღწევდა. საბჭოთა კავშირის და უნგრეთის ნაკრებთა საშუალო ასაკი უდრიდა 28,4 წელს. მომდევნო ადგილებზე იყვნენ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის (28 წელი), არგენტინის (27,7 წელი) და საფრანგეთის (27,6) კოლექტივები.

ფინალურ ტურნირში ჩატარებულ 35 შეხვედრაში გატანილ იქნა 126 ბურთი, ანუ საშუალოდ 3,6 ბურთი შეხვედრაზე. ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერები იყვნენ: ფონტენი (საფრანგეთი) — 13 ბურთი, პელე (ბრაზილია) და რანი (გფრ) — 6-6 ბურთი; ვავა (ბრაზილია) და მაკპარდენდი (ირლანდია) — 5-5 ბურთი.

**ფინალში გაგზავნილ იქნა 126 ბურთი**

**ოქროს ყეტონი... უკანასკნელი ადგილისათვის**

**ეს მათი „დაზვერვითი მოგზაურობაა“**

## ქალი სტარტზე!

1900 წელს მოსკოვ-პეტერბურგის გზაზე გამართულ ტრადიციულ ველორბოლაში, სადაც ჩვეულებრივ, ვაჟები ღებულობდნენ მონაწილეობას, ყველას გასაოცრად სტარტზე გამოვიდა ქალი — პოლონელი სპორტსმენი კოცენსკაია. რბოლის განმავლობაში მისი ყველაზე დიდი მიღწევა იყო 3 მეტოქის გადასწრება (თოთხმეტიდან), მაგრამ ფინიშთან იგი მაინც უკანასკნელი მისულა.

დამარცხებას სპორტსმენი ქალი იმით ხსნიდა, რომ იგი იძულებული იყო წვიმის ყოველი წამოსვლისას თავშესაფარში მჯდარიყო, ვინაიდან სველ შარვალში არც თუ ისე იოლი და სასიამოვნო იყო ველოსიპედზე ჯდომა, ხოლო ტრუსის ჩაცმა კოცენსკაიამ ვერ გაბედა, ვინაიდან გზაზე შემხვედრი გლეხები ისედაც პირჯვრის წერითა და ცრუმორწმუნე შიშით ხვდებოდნენ ველოსიპედზე ამხედრებულ შარვლიან ქალს...

მიუხედავად ამისა, კოცენსკაია დაჯილდოებულ იქნა საპატიო ოქროს ყეტონით, რომელიც მას გადაეცა „მანდილოსანთა“ შორის რეკორდის დამყარების გამო.

## მსოფლიო რეკორდსმენი დახრჩობას გადარჩა

**მსოფლიო რეკორდსმენი ზურგზე ცურვაში ჯონ მონკტონი (ავსტრალია) ამას წინათ კინაღამ დაიხრჩო. ვარჯიშის დროს მან სწორად ვერ გამოთვალა მანძილი აუზის კედლამდე, თავით დაეჯახა მას, დაკარგა გრძნობა და წავიდა 3-მეტრიანი აუზის ფსკერისაკენ.**

**იღბლად ეს შეამჩნია მისმა ამხანაგმა და მონკტონი ზევით ამოიყვანა.**

**ათიოდე წუთის შემდეგ ჯ. მონკტონი კვლავ განაგრძობდა ვარჯიშს.**

## სინხუას ცნობით

როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, პეკინში გაიმართა შტანგისტთა საჩვენებელი შეჯიბრება, სადაც საშუალო წონის ძალოსანმა ჩაო ცინ-კუომ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი აკვრაში. ჩ. ცინ-კუომ აპკრა 176,5 კილოგრამი, რაც 0,5 კილოგრამით აღემატება ამერიკელი ჯ. ჯორჯის მიერ გასული წლის თებერვალში დამყარებულ რეკორდს.


**რედაქტორი ი. უგულავა.**

**გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი: „ლელო“.**
**ტელეფონები: რედაქტორის 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.**

8 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06637